



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

მოსამართლე -- მიმართ

დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

02 აპრილი, 2018 წელი

ქ. თბილისი

დისციპლინური საქმე №115/17

-- -- (შპს „--“-ის დირექტორი) 2017 წლის 30 ივნისის №-- საჩივრის საფუძველზე „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-7 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად მომზადებული 2018 წლის 15 მარტის №--/17 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 02 აპრილის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძველიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივრებში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორის განცხადებით, შპს „--“-მა მოპასუხისათვის, შპს „--“-თვის ფულადი თანხის (1 289.75 ლარის) დაკისრების მოთხოვნით 2017 წლის 24 აპრილს განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --. მიუხედავად იმისა, რომ გასულია საქმის განხილვის ვადა, არ ხდება შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება. აღნიშნულის გამო, მომჩივანს ადგება ფინანსური ზიანი.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. 2016 წლის 4 აგვისტოს შპს „--“-ის დირექტორმა -- -- სასარჩელო განცხადებით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს, მოპასუხის შპს „--“-ის მიმართ და სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან გამომდინარე, მოპასუხისათვის 1 289.75 ლარის დაკისრება მოითხოვა.

2016 წლის 27 სექტემბერს მოსარჩელის მიერ წარდგენილ იქნა დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც, მოპასუხისათვის სარჩელის და თანდართული დოკუმენტების ჩაბარება მითითებულ მისამართზე ვერ მოხერხდა. ამის გათვალისწინებით, მოსარჩელემ იშუამდგომლა სასამართლო გზავნილის საჯარო შეტყობინების გზით გავრცელების შესახებ.

2016 წლის 26 დეკემბერს მიღებულ იქნა განჩინება სასამართლო გზავნილის საჯარო შეტყობინების გზით გავრცელების თაობაზე.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 9 იანვრის გადაწყვეტილებით 2017 წლის 10 იანვრიდან მოსამართლე -- -- განთავისუფლებულ იქნა მოსამართლის თანამდებობიდან.

2017 წლის 13 აპრილს მოსარჩელის წარმომადგენელმა (-- --) განცხადებით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეს და ითხოვა აღნიშნული საქმის სხვა მოსამართლისათვის გადაცემა. საჩივრის ავტორი აცხადებდა, რომ საქმეზე მიღებული უნდა ყოფილიყო დაუსწრებელი გადაწყვეტილება და იმის გამო, რომ საქმის განხილვა ჭიანჭურდებოდა, კომპანიას ადგებოდა ზიანი.

2017 წლის 26 აპრილის მოხსენებითი ბარათით მოსამართლე -- -- თანაშემწემ ითხოვა მითითებული საქმის განსახილველად სხვა მოსამართლისათვის გადაცემა.

2017 წლის 27 აპრილიდან საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --.

2017 წლის 08 სექტემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით მოსამართლე -- -- დააკმაყოფილა შპს „--“-ის სარჩელი. მოპასუხეს, შპს „--“-ს სასამართლო გზავნილი გაეგზავნა 2017 წლის 08 სექტემბერს. აღნიშნული გადაწყვეტილების მოპასუხისათვის ჩაბარება ვერ მოხერხდა. შესაბამისად, 2017 წლის 12 სექტემბერს მიღებულ იქნა განჩინება

2017 წლის 8 სექტემბრის გადაწყვეტილების საჯარო შეტყობინების გზით გავრცელების შესახებ.

2017 წლის 08 სექტემბრის გადაწყვეტილების საფუძველზე სააღსრულებო ფურცელი გაცემულ იქნა 2018 წლის 12 იანვარს.

2018 წლის 14 თებერვალს მიღებულ იქნა განჩინება 2017 წლის 8 სექტემბრის გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობების გასწორების შესახებ.

**2.2.** სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, მოსამართლე -- -- 2017 წელს გადაცემული ჰქონდა 1214 საქმე, რომელთაგანაც დაასრულა 960 საქმე (79.07%).

**3.** საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური

პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური გადაცდომის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს - „საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება“.

განსახილველ შემთხვევებში, იმისათვის, რომ სრულყოფილად შეფასდეს საჩივრების საფუძველზე გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები შეიცავენ თუ არა მოსამართლეების მიერ შესაბამისი პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, აუცილებელია განისაზღვროს, თავისი არსით რას წარმოადგენს - საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება, როდიდან უნდა ჩაითვალოს საქმე გაჭიანურებულად და რას გულისხმობს ტერმინი „უსაფუძვლო“. აღნიშნულ გადაცდომასთან დაკავშირებით, დამატებითი განმარტებებს არ გვაძლევს შიდა კანონმდებლობა, ამასთან, არც სადისციპლინო კოლეგიისა და სადისციპლინო პალატის არსებული გადაწყვეტილებები იძლევა აღნიშნული საკითხის განზოგადების შესაძლებლობას.

ამდენად, მოსამართლეების მიერ საქმის განხილვის შესაძლო უსაფუძვლო გაჭიანურებაზე მსჯელობისას აუცილებელია ყურადღება მიექცეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს (რომელიც მოიცავს სამართლიანი სასამართლოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლებას) და იმ კრიტერიუმებს, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იყენებს მე-6 მუხლის დარღვევის დადგენის დროს (საქმის განხილვის გონივრული ვადის დარღვევის გამო).

მოცემულ შემთხვევაში პირველ რიგში აუცილებელია განისაზღვროს, თუ როდიდან უნდა დაიწყოს საქმის განხილვის ვადის ათვლა - როგორც წესი საქმის განხილვის დაწყების თარიღად ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მიიჩნევს - სარჩელის/შესაბამისი განცხადების განსჯად/უფლებამოსილ სასამართლოში წარდგენის დროს (Poiss v. Austria; 50; Bock v. Germany, 35).

ამასთან, საქმის განხილვის დაწყების შემდეგ იყო თუ არა საქმის განხილვის ვადები არაგონივრული სასურველია შეფასდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სასამართლო პრაქტიკით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, კერძოდ, ეს კრიტერიუმებია: 1) საქმის სირთულე, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს, როგორც საქმის ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ სირთულესთან (Katte Klitsche de la Grande v. Italy, 55; Papachelas v. Greece, 39); რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს რამდენიმე მხარის საქმეში ჩაბმასთან (H. V. United Kingdom, 72); მტკიცებულებების გამოკვლევასთან (Human v. Poland, 63) და ა.შ. ამასთან, იმ შემთხვევაშიც როდესაც საქმე თავისი არსით სირთულით არ ხასიათდება, თუმცა ეროვნული კანონმდებლობა არ არის ნათელი ამ გარემოებამაც შეიძლება საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება გამოიწვიოს (Lupeni Greeck Catholic Parish and others v. Romania, 150); 2) მხარეთა მოქმედებები, რაც გულისხმობს მაგალითად, ადვოკატთა ხშირ ცვლილებას (Koenig v. Germany, 103), შუამდგომლობებს, რომელიც გამიზნულია პროცესის გასაჭიანურებლად, ან უბრალოდ დაკავშირებულია გარკვეულ ვადებთან (Acquaviva v. France, 61), ასევე სხვა მოქმედებები, რომელიც უკავშირდება საქმის

განხილვის ვადის გაგრძელებას; 3) საქმის განმხილველი მოსამართლის მოქმედებები, ყურადღება უნდა მიექცეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოსამართლის მიერ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობას/ჩაუტარებლობას (Pafitis and others v. Greece; 93; Tiece v. San Marino; 31; Suermeli v. Germany, 129.)

თუმცა აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით საქმის განხილვის ვადა იყო გონივრული თუ არა უნდა შეფასდეს ყოველ საქმეზე ინდივიდუალურად, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით (Frydlander v. France, 43) და ერთიანობაში ყველა საპროცესო მოქმედების მხედველობაში მიღების შედეგად (Koenig v. Germany; 98).

მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორის პრეტენზია ეხება საქმის განხილვის უსაფუძვლოდ გაჭიანურებას. საქმის მასალების გაცნობის შედეგად დადგინდა, რომ სასამართლოსათვის სარჩელის მიმართვიდან (2016 წლის 4 აგვისტო) 2017 წლის 10 იანვრამდე საქმე განსახილველად გადაცემული ჰქონდა მოსამართლე -- --, ხოლო 2017 წლის 27 აპრილიდან საქმეს განიხილავდა მოსამართლე -- --.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სასამართლო სამოქალაქო საქმეს განიხილავს განცხადების მიღებიდან არაუგვიანეს 2 თვისა. განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეზე მისი განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 5 თვისა, გარდა ალიმენტის გადახდევინების, დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით ან მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების, შრომითი ურთიერთობებიდან, „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე მოთხოვნებისა და უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის შესახებ საქმეებისა, რომლებიც განხილული უნდა იქნეს არაუგვიანეს 1 თვისა. ამასთან, ამავე მუხლის მე-3<sup>1</sup> პუნქტის თანახმად, ამავე კოდექსის 184-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში სამოქალაქო საქმეები განიხილება მოპასუხისათვის გზავნილის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტის სასამართლოში წარდგენიდან ან მოპასუხისათვის გზავნილის საჯარო შეტყობინებით ჩაბარებიდან არა უგვიანეს 45 დღისა, ხოლო განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეებზე განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 60 დღისა.

ამასთან, მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ მოცემულ შემთხვევაში საქმესთან მიმართებაში მოპასუხის მიერ სასამართლოში შესაგებელი არ წარდგენილა, ხოლო შესაგებლის წარდგენის ბოლო ვადა იყო 2017 წლის 03 თებერვალი. ამდენად, არსებობდა სასამართლოს მიერ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232<sup>1</sup> მუხლით განსაზღვრული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის ან შესაბამისი სხდომის დანიშვნის საფუძველი, კერძოდ, აღნიშნული ნორმის თანახმად - მოპასუხის მიერ ამ კოდექსის 201-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილ ვადაში პასუხის (შესაგებლის)

წარუდგენლობისას, თუ ეს გამოწვეულია არასაკმაყოფილო მიზეზით, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამასთანავე, მოსამართლე დააკმაყოფილებს სარჩელს, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას; წინააღმდეგ შემთხვევაში მოსამართლე ნიშნავს სხდომას, რის შესახებაც ეცნობებათ მხარეებს ამ კოდექსის 70-ე–78-ე მუხლებით დადგენილი წესით. სხდომის ჩატარების შემთხვევაში მოპასუხისაგან მტკიცებულებათა მიღება არ ხდება და სასამართლო მოისმენს მოპასუხის მხოლოდ სამართლებრივ მოსაზრებებს სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით.

სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა არ აკონკრეტებს სპეციალურ ვადას, თუ შესაგებლის წარუდგენლობიდან რა ვადაში უნდა მიიღოს სასამართლომ შესაბამისი გადაწყვეტილება, თუმცა, ეს ვადა არ უნდა იყოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაზე მეტი. ამდენად, მოსამართლემ დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა მიიღოს საქმის არსებითი განხილვისათვის განსაზღვრული ვადის ფარგლებში. ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 235-ე მუხლიდან გამომდინარე დაუსწრებელი გადაწყვეტილება მხარეებს ეგზავნება მისი მიღებიდან 5 დღის ვადაში (მოპასუხეს დაუსწრებელი გადაწყვეტილება გაეგზავნა 2017 წლის 08 სექტემბერს, ამ გადაწყვეტილების მიღების დღეს).

საქმე მოსამართლე -- -- განსახილველად გადაეცა 2017 წლის 27 აპრილს. საქმის მასალებით დადგინდა, რომ მოსამართლე -- -- დაუსწრებელი გადაწყვეტილება მიიღო 2017 წლის 8 სექტემბერს, მის მიერ საქმის განსახილველად მიღებიდან 4 თვის 11 დღის შემდეგ. შესაბამისად, აღნიშნულ საქმესთან მიმართებაში, მოსამართლე -- -- მიერ საქმის განხილვის გაჭიანურების ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

#### **4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:**

„საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3- ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე

შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2018 წლის 02 აპრილის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 14 წევრთაგან 14 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მესამე პუნქტითა და „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და

#### **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

დისციპლინურ საქმეზე №115/17 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

**გიორგი მიქაუტაძე**

**საქართველოს იუსტიციის  
უმაღლესი საბჭოს მდივანი**